# ინდ. მეწარმე
# ლამარა ქალიაშვილი

ხაშური, იმერეთის ქ№175. ს/კ 57001045313, ტელეფ: 599267610

№_8_ „ 20 “ მაისი 2019 წელი

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
გარემოზე ზემოქმედების ნებართვების
დეპარტამენტს

მოგესალმებით,

საქართველოს კანონის „გარემოს დაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მოთხოვნებების შესაბამისად ი.მ. **„ლამარა ქალიაშვილი”** დამატებით წარმოგიდგენთ მეწარმის კუთვნილ, ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ გომის ტერიტორიაზე მშენებარე წიდის გადამამუშავებელი საწარმოს საქმიანობის სკრინინგის განცხადებას.

სკრინინგის განცხადება თანდართულია.
დანართი 8 (რვა) ფურცელი

პატივისცემით,
ი.მ. „ლამარა ქალიაშვილი“ /ლ. ქალიაშვილი/

№ 7420
„22“ 05 2019
1/9

# საწარმოს საქმიანობის სკრინინგის განცხადება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ გომში, მდინარე მტკვრის მიმდებარედ არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე (GPS კოორდინატები: X-393138; Y-4651915, ი.მ **„ლამარაქალიაშვილი"**-ს (ს/კოდი 57001045313), მიერ იგეგმება წიდის გადამამუშავებელი (სამსხვრეველა) აგრეგატების (3 აგრეგატი) ექსპლოატაციაში გაშვება, რომელთა ჯამური წარმადობა, მათი მაქსიმალური დატვირთვის პირობებში იქნება 75000-მდე მ$^3$ წელიწადში.

საწარმოს მიერ დაკავებული ტერიტორიაზე, რომლის საერთო ფართობი 300მ$^2$-ს ტოლია წარმოადგენს შპს **„ვვვ"**-ს, (ს/კოდი 243892533) საკუთრებას და არენდული უფლებებით დროებით სარგებლობაში გადმოცემულია ჩვენს საწარმოზე, არსებული ორმხვრივი ხელშეკრულების შესაბამისად.

მოცემულ ტერიტორიზე დაგეგმილია და განთავსდება 3 ერთეული **ТБ-800** მარკის (უკრაინა) სამსხვრეველა აგრეგატი, რომლებიც განიხილებიან, როგორც ცალ-ცალკე მოქმედი ჰაერდამაბინძურებელი არაორგანიზებული წყაროები.

საწარმოს ნედლეულით მომარაგება დაგეგმილია ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამში არსებული კარიერიდან. ავტოტრანსპორტით შემოტანილი ნედლეული განთავსდება საწარმოს ტერიტორიაზე, სპეციალურად გამოყოფილ საწყობში ღია ცის ქვეშ. დასაწყოებული ნედლეული ავტომტვირთავით მიეწოდება სამსხვრეველას მიმღებ ბუნკერს საიდანაც მასალენტური კონვეერით მიეწოდება პირველადი მსხვრევის აგრეგატს. დამტვრეული მასალა გადაეწოდება მეორადი მსხვრევის აგრეგატს, სადაც მოხდება მასის საბოლოო დაქუცმაცება (დამტვრევა). დაქუცმაცებული მასალა ლენტური კონვეერის მეშვეობით იყრება საწარმოს ტერიტორიაზე, საიდანაც ავტომტვირთავის მეშვეობით მოთავსდება დახურულ საწყობში, საიდანაც მოხდება მისი რეალიზაცია.

მავნე ნივთიერებათა ძირითადი სახეობა იქნება მტვერი, რომელიც გამოიყოფა წიდის გადამამუშავებელ დანადგარებზე პირველადი და მეორეული მტვრევის პროცესში. გარდა ამისა, მტვრის ატმოსფეროში გაფანტვა მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული წიდის ნედლეულის ღია ცისქვეშ არსებული საწყობებიდან, სადაც ფხვიერი მასა განთავსდება ნაყარის სახით და ქარის მეშვეობით მოხდება მათი ატმოსფეროში გაფანტვა.

არსებული წარმადობიდან გამომდინარე, საწარმო, მისი მაქსიმალური დატვირთვის პირობებში საათში გადაამუშავებს 30 მ$^3$ წიდას, რაც წლიურად 74400 მ$^3$-სშეადგენს.

ამ რაოდენობის წიდის გადამუშავების შემთხვევაში საწარმო წლიურად გამოაფრქვევს 1,56 ტონა მტვერს.

ტექნოლოგიური ციკლიდან გამომდინარე საწარმო იმუშავებს 8 საათიანი სამუშაო რეჟიმით, 310 სამუშაო დღით წელიწადში, დასაქმებულთა რაოდენობა 3 კაცი.

საწარმოს წყლით მომარაგება მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული შპს„ვვვ"-ს კუთვნილი (ლიცენზიის №1002440) ჭაბურღილიდან. ტექნოლოგიური პროცესებისათვის საწარმოში წყალი არ გამოიყენება. წყალი გამოიყენება მხოლოდ სასმელ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებით. არსებული ნორმების თანახმად გამოყენებული წყლის რაოდენობა ერთ მუშა-მოსამსახურეზე შეადგენს 45 ლიტრს დღეში. გამომდინარე აქედან, საწარმო სასმელ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებით დღეში მოიხმარს 135 ლიტრ წყალს, რაც წლიურად 42-მდე კუბომეტრის ტოლი იქნება. გამოყენებული წყლის, ასევე ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების ჩაშვება მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე, ე.წ ადგილის რელიეფში. რაც შეეხება ფეკალურ მასებსის დაგროვდება ტერიტორიაზე მოწყობილ დამაგროვებელში (შამბოში) და ასენიზაციის ავტოტრანსპორტით რეგულარულად გაიტანება ტერიტორიიდან.

საწარმო განთავსებულია ხაშური-გორის ავტომაგისტრალის მიმდებარედ. საწარმოს განთავსების ტერიტორია არ განეკუთვნება კულტურული მემკვიდრეობის, ჭარბტენიან, ტყითდაფარულ და დაცულ ტერიტორიებს, ასევე მიმდებარე ტერიტორიაზე არ არსებობს წითელი ნუსხის სახეობები.

გაანგარიშებულია ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის (მტვერი) ინტენსიობა და დადგენილია, რომ მათი რაოდენობა 0,16 გრ/წმ-ს ტოლია. რაც შეეხება საწარმოო ხმაურს, გამომდინარე იქედან, რომ საწარმო საკმაოდ დიდი მანძილითაა დაშორებული (800 მეტრი) ახლომდებარე დასახლებული პუნქტიდან, ნორმის ფარგლებშია და სავსებით დააკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს.

საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ადგილი ექნება როგორც არასახიფათო, ასევე სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას. საწარმოს ფუნქციონირების დროს საწარმოში წარმოიქმნება შემდეგი სახის სახიფათო ნარჩენები:

-კბილანური გადაცემის კოლოფის ზეთები და ზეთოვანი ლუბრიკანტები;

-სხვა ჰიდრავლიკური ზეთები;

-ფლურესცენციული მილები და სხვა ვერცხლისწყლის შემცველი ნარჩენები.

სახიფათო ნარჩენების მაქსიმალურად უსაფრთხო მართვისათვის საწარმოს ადმინისტრაციას დაგეგმილი აქვს უზრუნველყოს მათი შეგროვება და საწარმოს ტერიტორიაზე დროებით შენახვა, შემდგომ მათი ტერიტორიიდან გატანა და შესაბამის

ლიცენზირებულ სამსახურზე გადაცემა არსებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამ მიზნით, საწარმოს ტერიტორიაზე დაგროვილი ძრავისა და კბილანური გადაცემის კოლოფის ზეთები და ზეთოვანი ლუბრიკანტები, ასევე სხვა ჰიდრავლიკური ზეთების შეგროვდება მოხდება ობიექტის ტერიტორიაზე არსებულ სპეციალურ კასრებში და შეინახება ობიექტის ტერიტორიაზე სპეციალურად ამისათვის გამოყოფილ სათავსოში. რაც შეეხება მათი ტერიტორიიდან გატანას, საწარმოს ადმინისტრაცია განახორციელებს მოლაპარაკებებს ისეთი საწარმოსა და ორგანიზაციებთან, რომელიც უფლებამოსილია და გააჩნია სათანადო ნებართვა ხსენებული ნარჩენების ტერიტორიებიდან გატანის შესახებ. ამ საქმიანობის განხორციელება მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა გაფორმდება სათანადო ხელშეკრულება არსებული ნორმების შესაბამისად. ინფორმაცია და რეკვიზიტები იმ საწარმოს და ორგანიზაციის შესახებ, რომელთანაც საწარმო გააფორმებს ხელშეკრულებას სახიფათო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანის თაობაზე, წარმოდგენილი იქნება სამინისტროში საწარმოს ნარჩენების მართვის გეგმასთან ერთად. რაც შეეხება არასახიფათო ნარჩენებს, მათ შორის: ნიადაგი და ქვები/ხრეში, მინერალები (მაგალითად ქვიშა, ქვები), ქაღალდი და მუყაო, პლასტმასი და რეზინა. მათი ტერიტორიიდან გატანა მოხდება სანდასუფთავების სამსახურის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოს უახლოესი შენობა-ნაგებობებიდან, რომლებიც განთავსებულია ტერიტორიიდან 80-90 მეტრში ერთი წარმოადგენს ერთ-ლიკვიდირებული კომპანიის საწარმოო ოფისს, რომელსაც გარკვეული წლების წინ შეუჩერდა ექსპლოატაცია და მეორე კი თურქული კვების ობიექტია. გამომდინარე აქედან, საწარმოში ტექნოლოგიური პროცესის წარმართვა მოხდება ტექნიკური უსაფრთხოების ნორმებისა და სანიტარული ნორმების სრული დაცვით, რაც უპირველეს ყოვლისა განპირობებულია როგორც მოსამსახურე პერსონალის, ასევე საწარმოს ახლომდებარე დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

გამომდინარე ზემოთხსენებულიდან და საქართველოს კანონის „გარემოს დაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მოთხოვნებების შესაბამისად, განსახილველად წარმოგიდგენთ ზემოთხსენებული საწარმოს საქმიანობის სკრინინგის განცხადებას არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

პატივისცემით,

ი.მ. „ლამარაქალიაშვილი" /ლ. ქალიაშვილი/

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 69.02.68.449**

# ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

**განცხადების რეგისტრაცია**
**N 882015198944 - 08/04/2015 17:47:44**

**მომზადების თარიღი**
**17/04/2015 10:57:27**

## საკუთრების განყოფილება

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი |
|---|---|---|---|
| ხაშური | გომი | | |
| **69** | **02** | **68** | **449** |

**მისამართი: რაიონი ხაშური , სოფელი გომი**

**ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება
**ნაკვეთის დანიშნულება:** არასასოფლო სამეურნეო
**დაზუსტებული ფართობი:** 10500.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**69.02.05.004;**

## მესაკუთრის განყოფილება

**განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 692003000224 , თარიღი 14/03/2003**

**უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:**

- ნასყიდობის ხელშეკრულება N1-808 , დამოწმების თარიღი:05/02/2003 ,ნოტარიუსი მ. გაბუნია

**მესაკუთრეები:**
შპს "ვვვ", ID ნომერი:243892533

**მესაკუთრე:**
შპს "ვვვ"

**აღწერა:**

## იპოთეკა

**საგადასახადო გირავნობა:**

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა: **102013326106 10/12/2013 11:37:42**
  **შ\პ\ს შპს ვვვ ს/ნ 243892533**
  საგანი: **მთელი ქონება, მთელი ქონება**
  საფუძველი: **შეტყობინება, N0772673, 10.12.2013, შემოსავლების სამსახური**

## ვალდებულება

**ყადაღა/აკრძალვა:**

- ყადაღა: **102012158513 25/06/2012 10:55:47**
  **შ.პ.ს. ვვვ ს/ნ 243892533**
  საგანი: უძრავი ნივთი: **ხაშურის რაიონი, სოფელი გომი, 69.02.05.004, მიწის საერთო ფართი 10500 კვ.მ**
  საფუძველი: **განჩინება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ, N12/5083-12, 22.06.2012, თბილისის საქალაქო სასამართლო**

**მოვალეთა რეესტრი:**

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 69 02 68 449
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882015198944
მიწის ნაკვეთის ფართობი: 10500 კვ.მ.
დანიშნულება:
კატეგორია: არასასოფლო-სამეურნეო
მომზადების თარიღი: 15.04.2015




01/2 შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა

ვალდებულება

ხაზობრივი ნაგებობა


შ.პ.ს. "333"
690268449
ი.მ. ლამარა ქალიაშვილი

# საქართველო

## საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი
## გარემოს ეროვნული სააგენტო

### სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

№ 1002440

2015 წლის „16" „აპრილი"
(ლიცენზიის უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში გატარების თარიღი)

გაცემულია შპს „ვვვ"-ზე, ს/კ 243 892 533;

(იურიდიული ან ფიზიკური პირის დასახელება / ვინაობა, მონაცემები მის შესახებ)

საფუძველი:

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2015 წლის 16 აპრილის №452/ს ბრძანება.

ლიცენზიით გათვალისწინებული ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი: ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფ. გომის მიმდებარე ტერიტორიაზე,
მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით);
K-38-64-B-г ნომენკლატურის ტოპოგრაფიული რუკა (ლიცენზიის განუყოფელი ნაწილი);
მიწისა და სამთო მინაკუთვნის ფართობი - 0,07 ჰა.

მოსაპოვებელი რესურსის სახეობა და მოცულობა:

მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო დანიშნულებით) მოპოვება - წელიწადში 1 825 კუბური მეტრი;

სალიცენზიო პირობები:

განსაზღვრულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2015 წლის 16 აპრილის №452/ს ბრძანებით.

ლიცენზიის მოქმედების ვადა: 10 წელი, 16.04.2015 დან 17.04.2025 მდე

სსიპ ,,გარემოს ეროვნული სააგენტოს"
უფლებამოსილი წარმომადგენელი

(ხელმოწერა)

ბ.ა.

გავეცანი ლიცენზიის პირობებს და
ვიღებ პასუხისმგებლობას მათ
შესრულებაზე.

(ხელმოწერა)

ბ.ა.

დამკვეთი: სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
დამამზადებელი: შპს „ფორმა"
სფს-ს რეგისტრაციის №23-4000